პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 კვირა 22 თებერვალი № 44 (16474) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნოგათეგი — ყრილოგას

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). ბათუმის ციტრუსკომბინატის მუშაო კოლექტივმა ორი თვის გეგმა 20 თებერვლისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა. 927 ათასი მანეთი პროდუქციის მაგივრად გამოშვებულია 931 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამ დღეებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიგზავნა 50 ათასი პირობითი ქილა მანდარინის ჯემი.

□ **ჟუთაისი,** 20 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). ჩაება რა სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, „საქჰიდროენერგომშენის“ ჟუთაისის ელექტროქსელის კოლექტივმა ვალდებულება აიღო კვარტალური გეგმა 24 თებერვლისათვის გაენაღდებინა და პირნათლად შეასრულა სიტყვა: გადაჭარბებით შესრულდა ელექტროქვესადგურების დამონტაჟების გეგმა. უზრუნველყოფილია არსებული სადგურების ნორმალური მუშაობა, გაყვანილია ახალი ენერგოგადამცემი ხაზები, დროულად არის აღდგენილი თოვლისაგან დაზიანებული ხაზები, რამაც უზრუნველყო ქალაქისა და მეზობელი რაიონების სამრეწველო საწარმოების შეუფერხებელი მუშაობა.

21 თებერვალი

გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე

გაზეთის თითქმის მთელი პირველი გვერდი უჭირავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალებს.

იქვე დაბეჭდილია რეპორტაჟი „მოსკოვი ეგებებია“ — ქვეყნის დედაქალაქი გულთბილად, გულღიად ხვდება პარტიის წარგზავნილებს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს.

საბინაო მშენებლობას მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არა აქვს ისეთი გაქანება, როგორც საბჭოთა კავშირში. გავლილი ხუთწლედის მანძილზე კეთილმოწყობილ ბინებში გადავიდა 56 მილიონი საბჭოთა მოქალაქე. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის პარტიის ზრუნვას ისიც მოწმობს, რომ ბინის ქირა ჩვენში ყველაზე მცირეა — საშუალოდ 3-4 პროცენტია ოჯახის მთელი შემოსავლისა (კაპიტალისტურ ქვეყნებში 25-40 პროცენტიც არის და მეტიც).

საბინაო მშენებლობა კიდევ უფრო დიდ გახაჭანს მიიღებს მეათე ხუთწლედში. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი ითვალისწინებს, საცხოვრებელი სახლები აშენდება 545-550 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობისა. სწორედ ამაზეა ლაპარაკი წერილში — „ათასი დალოცვილი ბერი“, რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით — „ჩვენი მიღწევები“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განხილვის მასალებს შორის დაბეჭდილია პანხიონტ „მიუსერას“ დირექტორის დ. უბილავას წერილი „ლაჟვარდოვან ზღვის პირას“. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ საკურორტო საქმის განვითარება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ საფუძველზე.

ი. ალექსანდროვის ვრცელი წერილი სათაურით — „ნამდვილ და უაღრ თავისუფლებათა შესახებ“, რომელიც „პრავდამ“ გუშინ გამოაქვეყნა, დღეს „კომუნისტის“ ფურცლებზე შეგიძლიათ წაიკითხოთ.

მეხუთე გვერდზე გაეცნობით საერთაშორისო ინფორმაციას.

მეექვსე გვერდზე გაზეთი იუწყება, რომ ციმბირის ხოფელ შუშენსკოეში, სადაც ვ. ი. ლენინმა გადასახლების წლები (1897-1900) გაატარა, 20 თებერვალს გაიხსნა ბელადის ძეგლი, როგორც სახალხო სიყვარულის სიმბოლო.

ПРАВДА

მშვიდობისა და სოციალიზმის სადარაჯოზე

პ. მელნიკოვი,

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი.

□

საბჭოთა ხალხი კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული დიდი წარმატებებით ეგებება სკკპ XXV ყრილობას. იგი შეაჯამებს მეცხრე ხუთწლედის შესრულების შედეგებს, დასახავს ახალ მიზნებს კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის საიმედო ბურჯი, სოციალიზმის ინტერესების დამცველი, მთელი პროგრესული კაცობრობის იმედია საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

თვითონ 58-ე წლისთავს ჩვენი არმია და ფლოტი გამარჯვებათა დიდებით მოსილი, მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებებით, ყველაზე თანამედროვე იარაღითა და ტექნიკით შეიარაღებული ეგებებიან.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირმშოა.

ოქტომბრის გამარჯვება იყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის უდიდესი ტრიუმფი, შემოქმედებითი მარქსიზმის გამარჯვება. ამ თეორიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ვ. ი. ლენინმა წამოაყენა მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ. ლენინი წინასწარ ჭვრეტდა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში აუცილებლად გამოიწვევს სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის მისწრაფებას გაანადგურონ სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატი. ლენინური დასკვნები მოუწოდებენ პარტიას, პროლეტარიატს; ყველა მშრომელს სერიოზულად, დაძაბულად და განუხრელად მომზადებულიყვნენ სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ყოველგვარი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მას შეუძლია დაიცვას თავი.

ისტორიამ. სავსებით დაადასტურა ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და განმტკიცებამ დამხობილი კლასების გაფთრებული წინააღმდეგობა და უცხოელი იმპერიალისტების აშკარა სამხედრო ინტერვენცია გამოიწვიეს, რათა ჩაეხშოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა და აღიდგინათ ბურჟუაზიის ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში.

ქვეყნის თავდასაცავად პარტიამ მთელ თავის მეცადინეობას წარმართავდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შექმნისათვის.

სამხედრო მშენებლობის თეორიული პრინციპების შემუშავებასა და მათს პრაქტიკულ განხორციელებაში ვ. ი. ლენინი და პარტია მიდიოდნენ გაუკვალავი გზებით. სოციალისტური სახელმწიფოს არმიის შექმნის ამოცანები ისტორიაში პირველად უნდა გადაგვეწყვიტა.

სამხედრო პოლიტიკის საფუძვლების შემუშავების საქმეში, საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პრინციპების განსაზღვრაში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული დაცვის ორგანიზაციაში უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი გახდა პარტიის VIII ყრილობა. იგი იყო გარდამტეხი ეტაპი საბჭოთა სამხედრო მშენებლობაში. მისი გადაწყვეტილების ისტორიული მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მან შეიარაღა პარტია სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის პროგრამით, წამართა მისი მეცადინეობა მრეალმილიონიანი, რეგულარული, ყაჯადრო, მკაცრად ცენტრალიზებული და დისციპლინიანი არმიის შექმნისა და განმტკიცებისათვის, სადაც კარგად იქნებოდა მოგვარებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და მეომართა აღზრდა, აგრეთვე საბრძოლო მეზერვების შევსების მომზადების მყარი სისტემა.

პარტიის VIII ყრილობაზე შემუშავებული სამხედრო მშენებლობის მეცნიერული საფუძვლების გრანიტის საძირკველზე, არმიის განმტკიცებისა და სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის პარტიის შემდგომი მუშაობის შედეგად, საბჭოთა არმია გადაიქცა თანამედროვეობის პირველი კლასის არმიად. მისი ძალა, გაწვრთნილობა და საბრძოლო მზადყოფნა ჩვენი ხალხის აღმშენებლობითი შრომის დაცვის საიმედო გარანტიაა.

სამხედრო მშენებლობის საკითხები ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით სოციალიზმის მონაპოვართა დაცვის შესახებ, შემოქმედებითად ამდიდრებს ისტორიულ გამოცდილებას, განავითარებს შეიარაღებული ძალების ძლიერებას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლენინმა. მთელ მსოფლიოში ცნობილია საბჭოთა სამხედრო მეცნიერების მიღწევები, საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი.

ძლიერ მოწინააღმდეგესთან ყოველგვარი არმიის ომის საბოლოო შედეგები მისი ძლიერებისა და საბრძოლო თვისებების, იმ სამხედრო მეცნიერების სისწორის რეალური და ობიექტური დადასტურებაა, რომელიც საფუძვლად უდევს მის მშენებლობისა და საბრძოლო საქმიანობას. საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა ცხადყვეს, რომ ჩვენი პარტიის სამხედრო პოლიტიკა, მისი თეორია და პრაქტიკული ღონისძიებანი შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის, სამშობლოს დასაცავად საბრძოლო მოქმედების ორგანიზაციისათვის ნამდვილად მეცნიერული და ერთადერთი სწორი პოლიტიკა იყო.

სამოქალაქო ომის წლებში ინტერვენტებთან და თეთრგვარდიელებთან გაფთრებული ბრძოლების დროს წითელმა არმიამ და ფლოტმა ღირსეულად დაიცვეს დიდი ოქტომბრის საქმე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის 300 გაერთიანებას, შენაერთს, ნაწილსა და სამხედრო სასწავლებელს მიენიჭა საპატიო რევოლუციური წითელი დროშა, წითელი დროშის ორდენითა და მოკავშირე რესპუბლიკების ორდენებით, აგრეთვე საპატიო იარაღით აღინიშნა 15 ათასი მეთაურის, პოლიტმუშაკისა და რიგითი მებრძოლის მხედრული გმირობა.

დიდ სამამულო ომში ჩვენმა ხალხმა, რომელსაც მეთაურობდა კომუნისტური პარტია, არათუ დაიცვა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი, არამედ ფაშისტური მონობის რეალური საფრთხისაგან იხსნა მთელი კაცობრობა. საბჭოთა კავშირის გამარჯვება ფაშიზმის წინააღმდეგ ომში, რომელიც მოწმობს საბჭოთა სოციალისტური წყობილების უძლეველობასა და დიდ უპირატესობებს, შემობრუნების პუნქტი გახდა მსოფლიოს ისტორიულ ბედში და გადაჭრით შეიცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვების შთამაგონებელი და ორგანიზატორი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით. ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების მართვის ცენტრალიზაციაში, პროლეტარული, სამხედრო და სამეურნეო ხელმძღვანელობის რთული და მრავალფეროვანი ამოცანების გადაჭრაში დიდი როლი შესრულეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკმა, რომელსაც მეთაურობდა ი. ბ. სტალინი. ომის ფრონტებზე უმნიშვნელოვანესი ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში ბრწყინვალე სამხედრო ხელოვნება გვიჩვენეს საბჭოთა მხედართმთავრების სახელოვნებამ კოჰორტამ, არმიისა და ფლოტის მეთაურთა მრავალრიცხოვანმა კადრებმა, რომლებიც აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ გააფთრებული ბრძოლების ქარცეცხლში.

არმიასა და ფლოტში შემადგენლებებელი ალა იყვნენ კომუნისტები. ისინი შეიარაღებული ბრძოლის უძნელეს და პასუხსაგებ უბნებზე მოქმედებდნენ.

საბჭოთა ადამიანებმა უმაგალითო ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინეს. ფრონტზე საბრძოლო გმირობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 7 მილიონზე მეტი კაცი, 11 ათასზე მეტ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა კაცობრიობის შემდგომ პროგრესზე, შექმნა ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების განვითარების, მთელ მსოფლიოში საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი გაქანების ხელშემწყობი პირობები. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მძლავრ და უძლეველ მსოფლიო სისტემად, პროგრესული განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში დაიწყო განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი — სამხედრო საქმის ყველა დარგში ძირეულ გარდაქმნათა ეტაპი. ეს გარდაქმნები განპირობებულ ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომმა განმტკიცებამ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებამ, რომელმაც საზოგადოებრივი წარმოების ყველა ძირითადი დარგი მოიცვა.

სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობა, რომელსაც კონცენტრირებულად გამოხატავს არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერება, ახლაც უმჯობესდება — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში — ეკონომიკის უბადლო დონის, მომწიფებული სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველზე. შეიარაღებული ძალების განვითარების დღევანდელი ეტაპისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ მათი მშენებლობა მიმდინარეობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობის პირობებში, როცა შექმნილია სოციალისტური ქვეყნების მძლავრი პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია.

მომძლე სოციალისტური ქვეყნები განამტკიცებენ კოლექტიურ თავდაცვას, სრულყოფენ სამხედრო თანამშრომლობას, რისთვისაც განუხრელად ხელმძღვანელობენ ვ. ი. ლენინის მითითებით: „...ვდგავართ რა იმპერიალისტური სახელმწიფოების უზარმაზარი ფრონტის წინაშე, ჩვენ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი, წარმოვადგენთ კავშირს, რომელიც მოითხოვს მჭიდრო სამხედრო დარაზმულობას, და ამ დარაზმულობის დარღვევის ყოველგვარ ცდას განვიხილავთ, როგორც სრულიად დაუშვებელ მოვლენას, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესების ღალატს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. სამხედრო მშენებლობის საკითხები განუწყვეტლივ დგას მისი ყურადღების ცენტრში. უკანასკნელ ხანს განხორციელებულმა ღონისძიებებმა კი საშალება მოგვცეს არსებითად განგვმტკიცებინა შეიარაღებული ძალების ძლიერე-

(დასასრული მე-3 გვ.).



საბჭოთა შეიარაღებული თავიანთ დღესასწაულსა და პარტიის ყრილობას ეგებებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული ახალი წარმატებებით. **სურათებზე:** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომართა ცხოვრებიდან: (მარცხნიდან) განგაში; პოლკოვნიკი ვ. პიანკოვი (ცენტრში) ბევრ ძალლონეს ახმარს ჯარის კაცების, სერჟანტებისა და ოფიცრების აღზრდასა და სწავლას. იგი სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

ჯ. რუსაკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ XXV ყრილობის დელეგატები საქართველოდან — მოსკოვში

მოსკოვი. 21 თებერვალს კრემლის დიდ სასახლის გიორგის დარბაზში გრძელდებოდა სკკპ XXV ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია. სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სსრ დელეგაცია რეგისტრაციის დროს. ცენტრში — სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ მუნარგია; ქვემოთ — საქართველოს დელეგატთა ერთი ჯგუფი ყოთელ მოედანზე.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ტელეფოტო (საკადესი-საქინფორმი).

სკკპ XXV ყრილობის უსასახვედრად

პირობა გაანაღდეს

გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა პირობა იყო სკკპ XXV ყრილობის გახსნის ღირსათვის სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 255 ტონა ხორცი და ამით მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შეესრულებინათ. მათ პირობა 9 დღით ადრე გადაჭარბებით გაანაღდეს, სახელმწიფოს მიჰყიდეს 349 ტონა ხორცი.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 201 ტონა ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 172 ტონისა.

აბაშის რაიონის მშრომელებმა მთელი ძალღონით იმუშავეს. სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის მიზნით ნაკისრი ვალდებულება 10 დღით ადრე გაანაღდეს, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე თვენახევრით ადრე შეასრულეს: სახელმწიფოს მიჰყიდეს 367 ტონა ხორცი ნაცვლად 290 ტონისა.

გეგმა — ვადამდე

სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად იკისრა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ავიაციის გამოყენების ორთვიანი დავალება შესრულებულია 18 თებერვლისათვის. ამ სამუშაოთა მოცულობა კი წლის დასაწყისიდან 1975 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16 პროცენტით გაიზარდა.

(საქინფორმი).

გაანვავითარო მეგობრული ურთიერთობა

20 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა მოროკოს პრემიერ-მინისტრს აჰმედ ოსმანს, რომელიც გავლით იყო მოსკოვში.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და ზევრ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. ორივე მხარემ განაცხადა, რომ განზრახული აქვთ განავითარონ საბჭოთა კავშირისა და მოროკოს მეგობრული ურთიერთობა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესაბამისად, როგორც ეს მრავალგზის იყო ხაზგასმით აღნიშნული საბჭოთა კავშირ-მოროკოს ერთობლივ დოკუმენტებში.

საუბარს ესწრებოდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი; მოროკოს მხრივ — საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრის სახელმწიფო მდივანი მუალა აჰმედ შერკაუი, სსრ კავშირში მოროკოს ელჩი მოჰამედ სიჟილმასი. (საკადესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივების სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში. 1971-1975 წლების საჯარო სამუშაოთა გეგმა და სოციალისტური ვალდებულებები მათ ვადამდე — 1975 წლის 1 ნოემბრისათვის შეასრულეს. სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებში სამუშაოთა მოცულობის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 17,9 პროცენტი შეადგინა. დასახულ ვადაზე ადრე შეასრულეს დავალებები საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა. 1975 წელს 1970 წელთან შედარებით სამუშაოთა მოცულობა მოლიანად სამინისტროს ხაზით 2,8-ჯერ გაიზარდა.

სამინისტროს კოლექტივებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგნენ, იკისრეს წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლების ახალი სოციალისტური ვალდებულებები. სოფლის მშენებლებმა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში გაავრცელეს ბათუმის მანქანათასაშენებელი ქარხნის კოლექტივის ინიციატივა საწარმოო ფართობების ეფექტიანი გამოყენების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სოციალისტური ვალდებულებები და აღნიშნა საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენსა“ და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც მშენებლობას აწარმოებენ რესპუბლიკაში, გაავრცელონ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივის ინიციატივა სამშენებლო ინდუსტრიის და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში საწარმოო ფართობების ეფექტიანი გამოყენების დარგში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა ფართოდ გაშალონ სოფლის მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების 1976 წლის

სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სოფლის მშენებლებმა, რომლებმაც განიხილეს და მხურვალედ მოიწონეს პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი, 1976 წლისათვის ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. მათ გადაწყვიტეს:

საჯარო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა მაჩვენებლების გათვალისწინებით გეგმის გადამეტებით შეასრულონ 1,5 მილიონი მანეთის სამუშაოები;

გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები საეკჰპლოატაციოდ გადასცენ 25 აგვისტოსათვის, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი—მესამე კვარტალში, მეცხოველეობის ნაგებობანი (კომპლექსების გარდა) — პირუტყვის ბაგური შენახვის პერიოდის დამდეგისათვის, ბოსტნეულისა და კარტოფილის საცავები — მათი მოსავლის აღების სეზონისათვის, 7,2 ათასი ტონა საერთო სიმძლავრის სამი ჩაის ფაბრიკა — ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონის დაწყებისათვის, მინერალური სასუქების შესანახი შენობები — ვადამდე, ააშენონ და სეზონისათვის გეგმის გადამეტებით საეკსპლოატაციოდ გადასცენ 30 ათასი ტონა ტევადობის სენაჟის ტრანშეები;

უფრო ფართოდ დანერგონ მშენებლობაში ბრიგადული იჯარა, ასეთი ბრიგადების რიცხვი გაზარდონ სახელმწიფო ორგანიზაციებში მათი საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე, ხოლო საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებში — 10 პროცენტამდე;

1975 წლთან შედარებით ხელით შესასრულებელი მიწის სამუშაოების მოცულობა შეამცირონ 7,2 პროცენტით, შეამცირონ აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები. სამღებრო სამუშაოთა მექანიზაციის დონე აამაღლონ 69 პროცენტამდე, ხელით შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა შეამცირონ 7,2 პროცენტით.

ბათუმის მანქანათასამშენებლო ქარხნის მაგალითისამგრ 1976 წელს ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმის ანარმი საწარმოო ფართობების თვითეულ კვადრატულ მეტრზე გაადიდონ 14 პროცენტით, ესე იგი შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუნგების ზრდასთან ერთად ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოშვება გაზარდონ 11 ათასი კუბური მეტრით. ამის შედეგად საჭირო აღარ იქნება არსებული ფართობების გადიდება 1000 კვადრატული მეტრით, რაც 550 ათასი მანეთი კაპიტალური დაბანდების დაზოგვის ტოლფასია;

სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად სამინისტროს საჯარო სამუშაოებისა და მრეწველობის ორი თვის გეგმა შეასრულონ ყრილობის გახსნის დღისათვის — 24 თებერვლისათვის;

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით წლის დამლევამდე გამოუშვან 550 ათასი მანეთის პროდუქცია, 15,5 პროცენტით უზრუნველყონ ზრდის ტემპი;

შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალება გადაჭარბებით შეასრულონ მშენებლობაში 0,5 პროცენტით, მრეწველობაში — 0,6 პროცენტით, დავალებასთან შედარებით 0,3 პროცენტით შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება;

საექსპლოატაციოდ გადასცენ ყველა საცხოვრებელი სახლი და სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებისა;

ტვირთბიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და დამატებით გადაზიდონ 150 ათასი ტონა ტვირთი; საკუთარი ავტოტრანსპორტით ცენტრალური ტვირთბიდვის მოცულობა გაზარდონ საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე; ავტომანქანების ბარკის გამოყენების კოეფიციენტი გაადიდონ 0,65-მდე და ერთი ტონაკილომეტრის თვითღირებულება ერთი პროცენტით შეამცირონ; გაზარდონ ავტოსაბურავების ბირველადი გარბენი 100 კილომეტრით;

დაზოგონ 150 ტონამდე საწვავ-საპონი მასალები;

გაფართოონ მთლიანასაწყობი მშენებლობის დამონტაჟების პრაქტიკა, ამასთან დავალებასთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდონ იგი წლის განმავლობაში.

გაუმჯობესონ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ნაწარმის ხარისხი, რომლებსაც საკუთარი საწარმოები უშვებენ, უზრუნველყონ მათი კატეგორიები სახსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის გზით უშუალოდ სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებსა და სამრეწველო საწარმოებში დაზოგონ სულ ცოტა 800 ათასი მანეთი;

დაზოგონ 2,8 ათასი ტონა ცემენტი, 0,8 ათასი ტონა ლითონი, 6,8 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე. (საქინფორმი).

ნამდვილ და ჭეშმარიტ თავისუფლებათა ფილოსოფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

პარტიის XXIV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „დემოკრატიის საკითხები, როგორც ცნობილია, ახლა სოციალიზმის სამყაროს და კაპიტალიზმის სამყაროს იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის ცენტრშია“. განსაკილმა წლებმა დაადასტურა ამ აზრის სისწორე.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო ძალაუფლების შინაარსისა და ფორმის, ადამიანის რეალურ უფლებათა მოცულობისა და არსის პრობლემები ძალზე აღელვებს ადამიანთა გონებას, რადგან სულ ახალ-ახალი მილიონები ეზიარებიან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას.

დინამიკურად განვითარებად სოციალისტურ ქვეყნებში დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა მატერიალურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში წარმატებული წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი, რომელიც ყოველისმომცველ ღრმა კრიზისს განიცდის, მწვავედ დგას როგორც მუშათა კლასის, შრომელთა ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებულ უფლებათა დაცვის, ისე ნამდვილი დემოკრატიის მიღწევის საკითხი.

კარგად არის ცნობილი, რომ ბურჟუაზია ძალაუფლებისათვის პირველების თავისუფლების ლოზუნგით იბრძოდა, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, უწინარეს ყოვლისა, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების თავისუფლებას, ესე იგი სხვისი შრომის ექსპლოატაციის თავისუფლებას ნიშნავდა. როცა მუშათა კლასი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, მან მასების, თვით მშრომელი ადამიანების თავისუფლების იდეა წამოაყენა, ბურჟუაზიამ, განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, ამას ყოველნაირ თავისუფლებათა შეზღუდვითა და ჩაბუნობით უპასუხა.

პროლეტარიატიც ძალაუფლებისათვის თავისუფლების ლოზუნგით, უწინარეს ყოვლისა, ექსპლოატაციისაგან, სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების ლოზუნგით იბრძოდა. რაც შეეხება ინდივიდუალურ თავისუფლებას, სოციალისტურმა ეკონომიკამ იგი უზრუნველყო, როცა თავისუფლება და მისი გარანტია მიანიჭა ხალხს, მშრომელ მასებს: მან გზა მისცა პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ამასთან ეს გზა ყველას გაუხსნა და არა რაღაც ვიწრო „ელიტას“.

„თავისუფლება, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ყოველი რევოლუციისათვის, სოციალისტური იქნება ის თუ დემოკრატიული, — ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ეს არის ლოზუნგი, რომელიც მეტისმეტად არსებითია. ჩვენი პროგრამა კი აცხადებს: თავისუფლება, თუ ის უწინაღმდეგება კაპიტალის ულისაგან შრომის განთავისუფლებას, მოტყუებაა“. ეს თავისუფლების საკითხის პრინციპულად ახლებური დასმა იყო არა მარტო თეორიაში, არამედ ცხოვრებაშიც. ამით დაიწყო ისტორიული ბრძოლა ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ, როგორც კაპიტალიზმის ანოლოგეტებმა „მარადიულად“ და „ზოგადსაკაცობრიულ“ გამოაცხადეს. სოციალისტური დემოკრატიის წარმოშობას გააფთრებული წინააღმდეგობით შეხვდნენ ძველი სამყაროს მთელი ძალები. მის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა და მოქმედებს მიზანდასახულად ორგანიზებული, გულუხვად „დაფინანსებული სიტრუნა და ცილისწამების სისტემა, რომელიც არაფერს ერიდება.

წყაროების, ფაქტების გადასხვაფერების, თაღსიფიკაციის, თაღლითობის დახმარებით ანტისაბჭოელები ცდილობენ თავიანთი ქვეყნების ხალხს სოციალიზმი დამახინჯებულად წარმოუდგინონ. ცდილობენ, როგორც ლენინი ამბობდა, „მოუსპონ“ მათ ყოველგვარი სურვილი ჩაუფიქრდნენ, თუ ვისთვის და რისთვის არსებობს სოციალისტური წყობილება, როგორია სოციალისტური დემოკრატია სინამდვილეში.

ასე გრძელდებოდა ათწლეულების მანძილზე. ბოლო დროს ანტისაბჭოური კამპანიის მეორეები და ზოგიერთი ახალი ნიშანი შეიძინა. ამის მიზეზები ნათელია. საჭირო გახდა კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრიობის, ხალხთა ყურადღების ჩამოშორება იმ უღიმღამო სურათისაგან, რასაც ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოადგენს, განსაკუთრებით ახლა, უღრმესი ეკონომიური კრიზისის, ახალი სოციალური და პოლიტიკური ძვრების ვითარებაში. გარკვეულმა, საკმაოდ გავლენიანმა ძალებმა მიზნად დაისახეს ახალი ანტისაბჭოური კამპანიის მეორეებით სახელი გაუტეხონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს, ხელი შეუშალონ მის განვითარებას და ამისათვის „ფსიქოლოგიური ომის“ მრრიგი ტური დაიწყონ. ანტისოციალისტური ძალები, სოციალიზმის მტრები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ მსოფლიო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის გაძლიერებას და, ვინაიდან ესმით, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს რეალური ანტისოციალისტური ძალები, განიზრახეს მისთვის ზარალის მისაყენებლად ერთი მუჭა ეგრეთწოდებული „დისიდენტები“ გამოიყენონ.

დასანანია, რომ დასავლეთში ბევრს არ შეუძლია მოისმინოს, თუ რას და როგორ იუწყებიან რუსულ ენაზე და საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ხალხების ენებზე, მაგალითად, რადიოსადგურები „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“ მიუნხენიდან, აგრეთვე, სხვა სახელმწიფო რადიოსადგურები. ჯერ ერთი დასავლელ რადიომსმენელებს გაუკვირდებოდათ, როცა გაიგებდნენ, რომ უსასტიკესი ეკონომიური კრიზისის დროსაც თურმე თვითონაც კარგად, გაუჭირვებლად და უზრუნველად ცხოვრობენ. მეორე, ისინი დარწმუნდებოდნენ რამდენ სისულელეს და ღვარძლს ანთხევს ყველა ეს „რადიოხმა“ სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

თავიანთ სულიერ სიღატაკეს ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი ეიფფასიანი სენსაციებით ნიღბავენ. ისინი საგულდაგულოდ ერიდებიან დემოკრატიის მხარეებს — ექსპლოატაციისაგან და კაპიტალის ძალაუფლებისაგან განთავისუფლებას. საბჭოთა საქმიანობა და წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობას. ისინი დაჟინებით არაფერს ამბობენ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების არსის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის ეშმარიტ გამგებლობას, მომავლის რწმენას, ადამიანთა ცხოვრებისა და ეროვნულ მაღალ სულიერ ფასეულობათა ზიარების შესაძლებლობას. არადა, უამისოდ ჩვენს დროში საერთოდ საგნობრივი არ იქნებოდა დემოკრატიაზე ლაპარაკი. სწორედ ამიტომ, სანამ განვიხილავდეთ დასავლეთის პროპაგანდის ანტისაბჭოურ მითებს, ღირს კვლავ განვმარტოთ ზოგიერთი ჭეშმარიტება საბჭოთა დემოკრატიის წარმოშობის, ბუნებისა და შინაარსის შესახებ.

II

დემოკრატიის პრობლემებისადმი ჩვენი პარტიის მიდგომა განსაზღვრა ლენინმ, რომელმაც განავითარა და გამდიდრა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა შეხედულებები. საზოგადოებისადმი მუშათა კლასის, თანამდრომეველების ყველაზე მოწინავე კლასის სახელმწიფო ხელმძღვანელობა, როგორც მრავალგზის ხაზგასმით აღუნიშნავს ლენინს, უმრავლესობის ინტერესებისათვის და უმრავლესობასთან ერთად მყარდება.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება რუსეთში იმას ნიშნავდა, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ძალაუფლების განხორციელება სიტყვით კი არა, საქმით დაიწყეს მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენებმა — მშრომელმა მასებმა.

ახალგაზრდა საბჭოთის გზაზე გიგანტური სიძნელეები აღიმართა. საჭირო იყო კონტრრევოლუციური ძალების გააფთრებული წინააღმდეგობის, უცხოთის სამხედრო ინტერვენციის შემოტევის, ომისშემდგომი სამეურნეო ნგრევის დაძლევა. მტრებს სურდათ უშუალო ძალადობით მოესპოთ ის საზოგადებრივი წყობილება, რომელიც თვით ხალხმა აირჩია. ამის პასუხად მუშურ-გლეხური ხელისუფლება იძულებული გახდა თვითონაც ძალა გამოეყენებინა. მაგრამ ამ ვითარებაშიც პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ლენინი ამბობდა, დამაჯერებლად ცხადყოფდა თავის „მთავარ არსს“, როგორც მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობის დემოკრატია, იგი უწინარეს ყოვლისა, აღმშენებლობითს, ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს ამოცანებს წყვეტდა.

დემოკრატიის ყოველმხრივი გაფართოება და გაღრმავება, მასების მაქსიმალური აქტიურობა, სახელმწიფოს მართვაში მათი მონაწილეობა სოციალისტური საზოგადოების შენების აუცილებელი წინაპირობა იყო. სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცება და განვითარება თავის მხრივ სულ უფრო ფართო გზას უხსნის ახალი ტიპის დემოკრატიის განვითარებას.

სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის ათწლეულებმა დაადასტურა, რომ სწორი და სიცოცხლისუნარიანია ლენინის მოძღვრება დემოკრატიის შესახებ. საბჭოთა კავშირში გიგანტურად ბევრი რამ გაკეთდა ხალხის გამგებლობის განვითარებისათვის. სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო საერთო სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესებსა და ნებას გამოხატავს. ამას ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყანაში ახალმა საერთო პოლიტიკურმა გითარებამ, რომელიც პიროვნების კულტის შედეგების აღმოფხვრის წყალობით შეიქმნა. საბჭოთა კავშირს კომუნისტურმა პარტიამ მტკიცე ღონისძიებები განახორციელა და აღმოფხვრა კანონიერების დარღვევები, რომლებიც წინათ იყო. სკკპ XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა რეალიზაციამ უზრუნველყო მასების როლის მნიშვნელოვანი აძაღლება და მათი მონაწილეობის გაძლიერება როგორც პოლიტიკის შემუშავებაში, ისე მისი განხორციელებისადმი კონტროლში.

რა მთავარი მომენტები ახასიათებს სოციალისტურ დემოკრატიას?

ეს არის თავისუფლება კაპიტალის ძალაუფლებისაგან, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან. ეს არის ადამიანთა თავისუფლება იმისაგან, რომ ისინი გამოიყენონ ამომქლეტ აგრესიულ ომებში, რომლებიც იმპერიალიზმის ინტერესებისათვის წარმოებს. ეს არის თავისუფლება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, რასობრივი დისკრიმინაციისაგან. ეს არის ადამიანის საიმედოდ გარანტირებული ძირითადი უფლებები — შრომის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, უფასო სამედიცინო დახმარების, დასვენების უფლება. ეს არის ხალხის მასების მაღალი პოლიტიკური აქტიურობა, მათი განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, რაც სამეულებას აძლევს მშრომელებს სულ უფრო კომპეტენტურად, ქმედითად და პასუხისმგებლობით მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების ყველა საქმის მართვაში. ეს არის სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, რომლებითაც ფართოდ სარგებლობენ საბჭოთა მოქალაქენი.

ეს არის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მწყობრი სისტემა, რომლებსაც წარმართავს საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური ავანგარდი — კომუნისტური პარტია, რომელიც, როგორც მუშათა კლასის პარტია, გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ყველა კლასის, ყველა ეროსა და ეროვნების ძირეულ ინტერესებს, უზრუნველყოფს სახალხო ხელისუფლების მექანიზმის გამოყენებას ადამიანთა ცხოვრების, საბჭოთა ხალხის შრომისა და სულიერი განვითარების პრობლემებს ეხება. საბჭოთა კულტურის მოღვაწენი თავისუფალი არიან ფულის ძალაუფლებისაგან, მონოპოლიათა დიქტატისაგან, რომლებიც კაპიტალის სამყაროში, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს მთელ „სულიერ წარმოებასაც“.

საბჭოთა პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები მარტო საზოგადოებრივი აზრის გამოხატვისა და მოსახლეობის ინფორმირების ინსტრუმენტი კი არ არის, არამედ ქმედითი, კონსტრუქციული კრიტიკის იარაღიც, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე მასების უშუალო გავლენას უზრუნველყოფს. ამის მკაფიო მაგალითია პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ მართლაც რომ საყოველთაო-სახალხო განხილვა. მშრომელები მიმართავენ გაზეთებს, რადიოს, ტელევიზიას სულ სხვადასხვა საბაბით: გამოთქვამენ თავიანთ აზრს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხზე, შემოაქვთ წინადადებები, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს. მათი აზრით, სოციალისტური სახელმწიფოს პრესის საქმიანობა ხალხის გამგებლობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი გამოვლინებაა. სოციალისტური დემოკრატიის პრინციპი, რომელიც კანონმდებლობის წესით არის განმტკიცებული, ის არის, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულების, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის მოვალეობაა საჯაროდ უპასუხოს პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკას, საზოგადოებრიობას შეატყობინოს, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა პრესის გამოსვლების შემდეგ.

ამრიგად, საბჭოთა დემოკრატიის სისტემა ფორმის მრავალფეროვნებით და ქმედითობით გამორჩეულია. იგი ბევრად სჯობს ყოველგვარ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სისტემას როგორც მთელი ხალხის წარმომადგენლობის, სხვადასხვა სოციალური ფენებისა და ჯგუფების სპეციფიკური ინტერესების თვალსაზრისით, ისე ამ ინტერესების გამოხატვის ფორმის თვალსაზრისით, როგორც გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღებაში მასების მონაწილეობის მასშტაბით, ისე მათი რეალიზაციის დროს საზოგადებრივი აქტივობის დონით.

III

თუ დავუბრუნდებით ჩვენს დემოკრატიზე ცილისწამების კამპანიის, რომელიც ახლა დასავლეთში გაჩაღდა, უფრო გასაგები გახდება, რატომ არ სურთ ანტისაბჭოელებს მის შესახებ სიმართლის თქმა, მისი ისტორიული ადგილისა და მნიშვნელობის შეფასება. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ძალზე არახელსაყოფ მდგომარეობაში ჩაიყენებდნენ თავიანთ თავსაც და თავიანთ ბურჟუაზიულ დემოკრატიისაც. სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელი ადამიანის რეალური თავისუფლებებისა და უფლებების მაგივრად, ესე იგი, იმის მაგივრად, რითაც საარსებოდ დაინტერესებული ათეულ მილიონობით ადამიანი, ეს ვაჟბატონები ფაქტიურად ლაპარაკობენ ცალკეულ პირთა თავისუფლებაზე ზიანი მიაყენონ სოციალიზმს, ლაპარაკობენ, რომ მათ უნდა ჭერნდეთ უფლება ძირგამომხარელ საქმიანობას ეწეოდნენ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, — ჩვეულებრივ გარედან კარნახით.

მასობრივი ინფორმაციის ბურჟუაზიულმა საშუალებებმა პროპაგანდისტული აურ-ზაური ატეხეს და მოსაბეზრებლად იმეორებენ მთელ რიგ ყალბ სტერეოტიპებს, მათ შორის: მონაჯორებს, თითქოს სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანებს დევნიდნენ მათი შეხედულებებისათვის, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ხელს უშლიდეს ჩვენი მოქალაქეებისა და უცხოელების დაქორწინებას; თითქოს დაბრკოლებებს უქმნიდნენ ებრაელი ეროვნების მოქალაქეებს, რომ ისრაელში წავიდნენ თავიანთი ოჯახების გასაერთიანებლად; თითქოს სსრ კავშირში არ იყოს სინდისის თავისუფლება.

ყოველივე ამას, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით, დღეადღამ იმეორებს ბურჟუაზიული პროპაგანდისტული მანქანა. მაგრამ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება? ღირს ამაზე პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ იმედი გვაქვს დავაჯეროთ ისინი, ვინაც პროფესიად გაუხდია ცილისწამება: და სოციალიზმის შესახებ ღეარძლიანი მითების შეთხზვა. როცა ანტიკომუნისტური პრესა მისიონერის, ადამიანურობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის მქადაგებლის როლს კისრულობს, შეუცდომლად შეგიძლია ეფქვათ, რომ ეს უანგაროდ არ ხდება, რადგან აქ საქმე ანტიკომუნიზმის ფასიან პროფესიონალებს ეხებათ, რომლებსაც სრულიადაც არ აწუხებთ, თუ რა ხდება მათს გარშემო, მათს საკუთარ ქვეყნებში და ჭკუას არიგებენ სოციალისტურ საზოგადოებას.

თუმცა საკვირველი არ არის, რომ ისინი სწორედ ასე იქცევიან და არა სხვაგვარად. ეს უფრო ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმათ კლასობრივ დაინტერესებას, ვისაც ისინი ემსახურებიან.

შეიძლებოდა იმას გავეცინებინეთ, რომ მათ ანკესზე ზოგი იმათთაგანიც ეგება, ვინც სოციალიზმს მომხრეა, მაგრამ ფიქრობს, რომ თანასწორობისა და სამართლიანობის საზოგადოების „შენებას „სოციალიზმის ბერრთა ოდეესრ ტყვეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ჩვენი ცხოვრება მათ, კერძოდ, არაკეთილსინდისიერი „მოწმეების“ მიერ შეთითხნილი ფილმებისა და სტატიების მიხედვით წარმოუდგენიათ და ზოგჯერ სიმართლედ მიაჩნიათ ყოველგვარ უსაფუძვლო მონაჭორები.

მაინც როგორ არის საქმე სინამდვილეში? საბჭოთა კავშირში არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც გამოთქვამენ კომუნისტური იდეოლოგიის მოწინააღმდეგე აზრებს, ზოგჯერ გეხვდებიან აშკარა ანტისაბჭოელებიც, სოციალიზმის მოწინააღმდეგეებიც. ზოგიერთი მათგანი განსასჯელის სკამზე ხვდება, მაგრამ თავიანთი შეხედულებებისათვის კი არა, არამედ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის. დუნენკოსა და მ. ოსტროვსკის მსგავს პატიმრებს შორის ომის დროს ფაშისტური სადამსჯელო ექსპედიციების აქტიური მონაწილეებიც არიან, რომლებსაც დასავლეთის პროპაგანდა აგრეთვე „თავისუფლების მებრძოლებად“ წარმოგვიდგენს, სასამართლო პასუხისგებას მოითხოვს აგრეთვე მოქმედება, რომელსაც კანონის შესაბამისად სასამართლო კვალიფიკაციას აძლევს, რომ მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისათვის ძირის გამოთხრას ან მის შესუსტებას, ან იმ აშკარად ყალბი მონაჭორების გავრცელებას, რომლებიც ჩირქს სცხებენ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებას, ესე იგი მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სხვა სისტემის სამართლის კოდექსით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისტემის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბუდმიჯი მასობრივი იდეოლოგიური დიეერსიების პირობებში, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ახორციელებდნენ, მას ბევრი თავდაცვითი ღონისძიება უნდა შეემუშავებინა. ჩვენი კანონი იმით ხელმძღვანელობს, რომ, ისევე როგორც დასასჯელია ცილისწამება, რომელიც ჩირქს სცხებს ერთ ადამიანს, დასასჯელია აგრეთვე ცილისწამება მთელი სოციალური დიფამაცია. თავის დროზე ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივად საშიშია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული „სიცრუის ბომბები“ და საჭიროა მათი დროული გაუვნებლება. სოციალისტური წყობილების განმტკიცების კვალობაზე საბჭოთა სამართალი განუხრელად იმცირებდა ამისათვის სასჯელის სიმკაცრეს.

ცილისმწამებლური მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირში „სხვაგვარად მოაზროვნეებს“ „სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში“ აწყვდიენენ, სსრ კავშირში, ისევე როგორც ყველგან, ზოგჯერ საჭირო ხდება იმ სულიერად დაავადებულთა ოფლაცია, რომელთა შემდგომი თავისუფალი ცხოვრება შეიძლება საშიში გახდეს საზოგადოებისათვის. იძულებითი მკურნალობისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმ პირთა დაწვენა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ეს გადაწყვეტილება გამოაქვს ექსპერტ ექიმთა კომისიის დასკვნის საფუძველზე. სულიერად დაავადებულ დამნაშავეს ზუსტად ისევე მკურნალობენ, როგორც ყველას, ვინც სულიერად დაავადებულია, და საავადმყოფოში უფრო დიდხანს არ აყოვნებენ, ვიდრე ამას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს.

საბჭოთა მედიცინა იმის გარანტიას იძლევა, რომ მხოლოდ ფსიქიურად დაავადებულ პირებს მკურნალობენ. მაგრამ მას არ შეუძლია იმის გარანტირება, რომ მათ შორის არ აღმოჩნდებიან ეგრეთ წოდებული სხვაგვარად მოაზროვნენი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ადამიანი, ვინც ერთ დროს სსრ კავშირის ფსიქიატიურ კლინიკებში მკურნალობდა და ვისაც ბურჟუაზიული პროპაგანდა „საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლად“ წარმოადგენდა, მას შემდეგ რაც საზღვარგარეთ წავიდა, ასეთსავე საავადმყოფოებში აღმოჩნდა. ახლა დასავლეთში ყველამ აღიარა, რომ გიჟია ყბადაღებული ტარსისი, რომლის გამო ერთ დროს ისეთივე აურ-ზაური ატყდა, როგორც ახლა ანტისაბჭოელი ალეუშინის გარშემო ატეხილი.

უცხოეთის დაზვერვები და „ფსიქოლოგიური ომის“ სამსახურები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გამონახონ გარეწრები, რომლებიც შეიძლება წარმოადგინონ როგორც „ერთგვარი „ოპოზიცია“, რომელიც თითქოს არსებობდეს საბჭოთა კავშირში. სინამდვილეში კი იმ პირთა სასამართლო პროცესებმა, რომლებსაც ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი მოქმედება დაუმტკიცეს, დოკუმენტურად ცხადყო, რომ ამ ადამიანებს საბჭოთა საზოგადოება კი არ უჭერდა მხარს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ანტისაბჭოური იმპერიალისტური ცენტრები, რომლებიც მათ აფინანსებდნენ ინსტრუქციებით, მასალებით, აღჭურვილობით ამარაგებდნენ. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ როცა ასეთი ადამიანები საზღვარგარეთ მიდიან, იქ სწრაფად აკვლნენ თავიანთ ნამდვილ არსს და უკვე ამკარად ილაშქრებენ სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ.

დაუფარავად ცინიკურია სოლჟენიცინის სტატეები, რომლებიც პირდაპირ აცხადებს, რომ „თავის მთავარ მტრად“ ყოველთვის ლენინი მიიჩნდა და მხოლოდ დროს უცდიდა, ფარავდა ამას, სანამ სსრ კავშირში ცხოვრობდა. ახლა სოლჟენიცინმა ნიღაბი ჩამოიხსნა და აღიარებს, რომ მას ყოველთვის საბჭოთა წყობილებისადმი, კომუნიზმისადმი სიძულვილი ამოქმედებდა.

ამ ადამიანთა ნამდვილ არსს, რომლებსაც დასავლეთში „სხვაგვარად მოაზროვნეებად“ უწოდებენ, ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ, როგორც კი საზღვარგარეთ მოხვდებიან, იმ ანტისაბჭოურ ცენტრებში იწყებენ სამსახურს, რომელებსაც იმპერიალისტური საიდუმლო სამსახურები უწევენ კონტროლს. მაგალითად, გალიჩი, კორეკაინი, შარია სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ორგანოში — რადიოცენტრ „თავისუფლებაში“ მუშაობენ, ხოლო შტენი — ანტისაბჭოურ გამოცემლობა „პოსევში“. მათ ყველას უცხოეთის დაზვერვის სახსრებით ინახავენ.

ისიც დამახასიათებელია, რომ დისიდენტთა ყველა ეგრეთწოდებული „იდეა“ უშალოდ ბურჟუაზიული ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოური პროპაგანდიდან არის ნასესხები. მათს შეხედულებებში საკუთარი არაფერია, ყველაფერი „იმპორტირებულია“, შემდეგ კი — ატაკებულს ბურჟუაზიული ჟურნალისტების, „ფსიქოლოგიური ომის“ სამსახურების მიერ, ამას სსრ კავშირის „შინაგანი ოპოზიციის ხმად“ ასაღებენ.

ამ ბოლო დროს სულ უფრო აქტიურად იყენებენ იმ პირთა შეხიზვნის ახალ ვარიანტს, რომლებიც ჩვენში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ცდილობენ. მათ სულ უფრო ხშირად „რელიგიის თავისუფლებისათვის მებრძოლად“ წარმოადგენენ. სინამდვილეში სინდისის, სარწმუნოების თავისუფლება საბჭოთა კავშირში კონსტიტუციით არის გარანტირებული და მას არაფერი ემუქრება. ეს მრავალგზის განუცხადებიათ ყველა იმ რელიგიის იერარქებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში სწყობენ.

1975 წლის დეკემბერში მოსკოვისა და მთელი რუსეთის პატრიარქმა პიმენმა, ეკურნალისტთა შეკითხვებს რომ უპასუხა, თქვა: „მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირში არცერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ვინმე სასამართლო პასუხისმგებლობაში გადაეცეთ ან დაეპატიმრებინთ რელიგიური მრწამსისათვის. მეტიც: საბჭოთა კანონმდებლობა არც კი ითვალისწინებს სასჯელს „რელიგიური მრწამსისათვის“. იწამოს თუ არ იწამოს ღმერთი — სსრ კავშირში თვითეული ადამიანის პირადი საქმეა“.

სოციალიზმმა პირველად გადაჭრა სინდისის თავისუფლების პრობლემა. თუ რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებლობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო, სსრ კავშირში ყველა რელიგიური ორგანიზაცია თანასწორუფლებიანია: რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, კათოლიკური, მუსულმანური, ბუდისტური, ქრისტიანი მართლმადიდებელი, სომხური, იუდეველთა, ევანგელიკურ-লუთერიანული, ევანგელიკურ ქრისტიანულ-ბაპტისტური და სხვა რელიგიები.

რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია ისეთი ჯგუფების ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების ნიღბით, სინამდვილეში ზიანს ვაყენებს მოქალაქეთა ჯანმრთელობას ან აიძულებს მათ უარი თქვან მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებაზე.

დასავლეთში განსაკუთრებული ხალისით ეწევიან სპეკულაციას უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების ქორწინებისა და სსრ კავშირიდან წასვლის საკითხების გარშემო, აზვიადებენ დაბრკოლებებს, რომელებსაც თითქოს მათ საბჭოთა ხელისუფლები უქმნიდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ბოროტად განზრახული ინსინუაციაა. საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში 5.500 საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც უცხოელებზე დაქორწინდნენ, 110 ქვეყანაში წავიდა საცხოვრებლად. რაც შეეხება სსრ კავშირიდან წასვლას, „შევიწროების“ დასამტკიცებლად იმ ფაქტს იმოწმებენ, რომ 1975 წელს ერთისამად შემცირდა (1973 წელთან შედარებით) ოჯახებთან შესაერთებლად გაცემული წასვლა პირთა რიცხვი.

ეს იმიტომ მოხდა, რომ წასვლის მსურველთა რიცხვი შემცირდა. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მოსახლეობის ძირითადი მასა, ისევე როგორც სხვა ეროვნებათა საბჭოთა ადამიანები, სოციალიზმის საქმის, საბჭოთა წყობილების ერთგულია. მათთვის საბჭოთა კავშირი ერთადერთი და საყვარელი სამშობლოა და ისინი გულისწყრომით უარყოფენ თვით აზრს, რომ შეიძლება აქედან წასვლა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ისრაელიდან ნაკადად მოდის იმათი წერილები, ვინც საკუთარი გამოცდილებით იწვნია ამ „აღთქმულ მიწაზე“ ცხოვრების მთელი „სიტკბო“. ადამიანები კრიზისით მოცული ისრაელიდან სხვა ქვეყნებში გარბიან, მაგრამ ვერც იქ პოულობენ თავშესაფარს. ბევრი და ბევრი ადამიანი ითხოვს ნებართვას, რომ დაბრუნდეს საბჭოთა კავშირში.

რა თქმა უნდა, როცა სსრ კავშირიდან წასვლის საკითხებს წყვეტენ, საბჭოთა ორგანოები თავალისწინებენ, რომ სახელმწიფოს ინტერესები უნდა დაიცვან. მათ, ვინც გარკვეული ინფორმაციის მატარებელია (სამხედრო, სამხედრო-სამრეწველო და სხვა სახელმწიფო საიდუმლოებები), საჭირო ვადის მანძილზე არ აძლევენ წასვლის უფლებას.

მაგრამ ასეთი შემთხვევების რიცხვი უმნიშვნელოა. 5 წელიწადში — 1970-1975 წლებში იმ პირთა საერთო რიცხვიდან, რომლებმაც განცხადება შეიტანეს ჩვენი ქვეყნიდან წასვლის შესახებ, 98,4 პროცენტმა მიიღო ამის შესაძლებლობა. ხოლო იმ პირთაგან, რომლებმაც ნებართვა ითხოვეს, მხოლოდ 1,6 პროცენტს ეთქვა უარი, ასეთია ფაქტები.

ასეთ პასუხს ვაძლევთ ყველას, ვინც ცდილობს პირფერულად დააბრალოს ჩვენს სახელმწიფოს, თითქოს არ ასრულებდეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის მესამე კარის დებულებებს. სინამდვილეში საბჭოთა კავშირი ზედმიწევნით ასრულებს დასკვნითი აქტის ყველა დებულებს, მის მიმართ ბრალდებები კი სხვა არა არის რა, თუ არა გარკვეული წრეების ცდა შენიღბონ ჰელსინკში მიღწეულ შეთანხმებათა საკუთარი მრავალრიცხოვანი და უხეში დარღვევები, მათ შორის ისეთი, როგორიც არის სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობის შეთანხმებული პრინციპებისაგან გადახვევა, ადამიანის უფლებათა ხელყოფა.

ადამიანის უფლებათა კონცეფცია, რომელიც სოციალისტურმა დემოკრატიამ წარმოშვა, არა მარტო სრულდება საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში, არამედ სულ უფრო ფართო საერთაშორისო აღიარებასაც იმსახურებს. ამის მაგალითია საერთაშორისო პაქტები ადამიანის უფლებების შესახებ, რომლებიც დაამტკიცა გაერთიანებული ერებისორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ.

მაგრამ, დამახასიათებელია ასეთი რამ: ამ პაქტების მიღების შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა. სსრ კავშირსა, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მოხდა მათი რატიფიკაცია. ამ დროს კი განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, რომელთა პროპაგანდისტული ორგანოები ყველაზე თავგადმოდებით „აღფრენ“ ადამიანის უფლებებისათვის, მხ

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 35 1976 წლის 22 თებერვალი ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო შეიარაღებული ძალების ვეტერანებო, ვინც თადარიგში და გადამდგარი ხართ!

წელს ჩვენი ხალხი და მისი მეომრები ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 58-ე წლისთავს ღირსშესანიშნავი მოვლენის — სკკპ XXV ყრილობის გახსნის წინ, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის დიდი აღმავლობის, სოციალისტური შეჯიბრების ახალი გაქანების ვითარებაში.

ჩვენი სამშობლო ძალ-ღონით აღსავსე ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას. გასული ხუთწლედის მანძილზე არსებითად გაიზარდა სოციალისტური წარმოების მასშტაბი, განმტკიცდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაადგმულია ახალი ნაბიჯი საბჭოთა მეცნიერების და კულტურის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების გზაზე. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების ურღვევი ერთიანობა, სოციალისტური ერების მშური კავშირი. სათანადო დონეზეა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

პარტიის XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის აქტიური და მიზანდასახული მოღვაწეობის შედეგად წინ იწევს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმე. განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური პოზიციები, გაძლიერდა სოციალისტური თანამეგობრობის გავლენა მსოფლიო მოვლენების მიმდინარეობაზე. საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ნიშანი გახდა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარება.

მაგრამ იმპერიალიზმის ომის მოტრფიალე წრეები, რეაქციისა და აგრესიის ძალები კვლავაც ხელს უშლიან დაძაბულობის შენელების პროცესს, ცდილობენ გაართულონ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა, ცდილობენ არა მარტო შინაარჩენონ დაძაბულობის არსებული კერები, არამედ აგრეთვე გააღვივონ ახალი სამხედრო კონფლიქტები.

ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების სათანადო დონისათვის.

ლენინის პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, თავიანთი ხალხის უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მოძმე არმიებთან ერთიანს საბრძოლო მწყობრში ფხიზლად დგანან მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საგუშაგოზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი

ა. გრეჩკო.

მშვიდობისა და სოციალიზმის საღარაჯოზე

(დასასრული)

ბა და თავდაცვისუნარიანობა. დღეს ჩვენი სამშობლოს არმიისა და ფლოტს აქვთ პირველხარისხოვანი ტექნიკური შეიარაღება და შეუძლიათ გადაწყვეტონ ნებისმიერი საბრძოლო ამოცანები როგორც ხმელეთზე, ისე ჰაერსა და ზღვაში.

აი, მხოლოდ ერთი მაგალითი. თანამედროვე მოტომსროლელი დივიზია დიდი სამამულო ომის პერიოდის დივიზიას ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებით, ავტომატური იარაღით, რადიოკავშირგაბმულობის საშუალებებით რამდენჯერმე სჯობნის და ბევრად აღემატება ამ ტექნიკის ხარისხით. ომის შემდგომ პერიოდში დივიზიის ერთი საარტილერიო-ნაღმსატყორცნი ზალპის წონა 30-ჯერ და მეტად გაიზარდა.

მაგრამ სამხედრო-ტექნიკურ შესაძლებლობათა კოლოსალური ზრდა — ეს მხოლოდ ერთი მხარეა, რომელიც შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებას ახასიათებს. მთავარი ადამიანებია.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები ჩვენი საზოგადოების გაწყობილი ნაწილია. უკანასკნელ ხანს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი უდიდესი ძვრები საზოგადოდ აისახა არმიისა და ფლოტის პირად შემადგენლობაშიც. განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ცელლანი ჩვენი კადრების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური მომზადების დონეში. გენერლებისა და ოფიცრების 41 პროცენტზე მეტს აქვს უმაღლესი სამხედრო და სპეციალური განათლება. ოფიცრთა თითქმის 90 პროცენტი კომუნისტი და კომკავშირელია.

სამხედრო სამსახურში მოდის სულ უფრო განათლებული, ტექნიკურად განსწავლული ახალგაზრდობა. ჯარისკაცთა და მატროსთა უმრავლესობა დაუფლებულია ჯერ კიდევ არმიაში გაწვევამდე მიღებულ ამა თუ იმ სპეციალობას. „საბჭოთა შეიარაღებული ძალები, — ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ, — დღეს წარმოადგენს სოციალისტური სამშობლოს მედგარ, მამაც და მარჯვე დამცველთა მძლავრ კოლექტივს, რომლებიც პარტიისა და ხალხის უსაზღვროდ ერთგული არიან, ნათლად აქვთ შეგნებული და ღირსეულად ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას“.

საბჭოთა მეომრები მთლიანად უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და ამავე დროს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებით წყვეტენ შეიარაღებული ძალების მშვიდობისა და უშიშროების ამ მთავარი გარანტის ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი გადიდების ამოცანას. ამის მაჩვენებელია იმ ამოცანების წარმატებები შესრულება, ჯარების წინაშე რომ იდგა კორპუსის საჯარისო წვრთნის „ავიაციის“ დროს, რომელიც ივნვართებერვალში გაიმართა. ამ წვრთნის დროს თავი გამოიჩინეს ოფიცრებმა ა. ჩერემისოვმა, ვ. შურლიიამ, ფ. ადამიანმა, ი. ოდიკაძემ, ა. ასკეროვმა და ბევრმა სხვამ.

წვრთნის შესახებ ცნობები წინასწარ გამოქვეყნდა პრესაში. წვრთნას დაესწრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, თურქეთის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბერძნეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. ყოველივე ეს მოწმობს, თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდება საბჭოთა კავშირი ეროვნის უშიშროებისა და თანამშრომლობის 1975 წლის ჰელსინკის თათბირზე ხელმოწერილი საბოლოო აქტის ყველა დებულების შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ, რომელიც წვრთნა „ავიაციის“ ესწრებოდა, მაღალი შეფასება მისცა ჯარების მოქმედებას. ამიერკავკასიის ოლქის მეომრები ამაყობენ ამ შეფასებით და თავიანთ წარმატებებს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას უძღვნიან.

შეიარაღებული ძალების განმტკიცებით სსრ კავშირი არავის არ ემუქრება. „ჩვენი არმია,— თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მშვიდობის არმიაა. მას არა აქვს სხვა მიზნები, გარდა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისა“.

საბჭოთა სახელმწიფოსათვის, სოციალისტური წყობილებისათვის ომი ორგანულად უცხოა. ჩვენ პარტიის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა — ზავის ლენინური დეკრეტით დაწყებული და სკკპ XXIV ყრილობაზე წამოყენებული მშვიდობის პროგრამით დამთავრებული, გამსჭვალულია გულწრფელი მისწრაფებით, რომ ბოლო მოეღოს ომებსა და აგრესიას, უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო მშვიდობა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და მომავ სოციალისტური ქვეყნების ხალხებს შეუქმნის შემოქმედებითი და აღმშენებლობითი შრომის ხელსაყრელ პირობებს. მაგრამ ამ მშვიდობისმოყვარეულ პოლიტიკას საერთაშორისო იმპერიალიზმი უბრალოპირებს ძალცვა-გლეჯისა და თარეშის, გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო ავანტიურების პოლიტიკას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმის დაცვა კანონზომიერებად რჩება, სანამ არსებობს იმპერიალიზმი — სოციალიზმის მთავარი საფრთხე. და დღეს საბჭოთა მეომრებისათვის წმიდათაწმიდა განაწესად რჩება ლენინის სიტყვები, რომლებითაც 1918 წლის იანვარში მიმართა წითელი არმიის პირველ მებრძოლებს: „თქვენი სახით მივესალმები სოციალისტური არმიის იმ პირველ გმირ-მოხალისეებს, რომლებიც შექმნიან ძლიერ რევოლუციურ არმიას. და ეს არმია მოწოდებულია დაიცვას რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სანალხო ხელისუფლება, ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, მთელი ახალი, ეშმაროტად დემოკრატიული წყობილება ხალხის ყველა მტრისაგან, რომლებიც დღეს ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ რევოლუციის დასალუპავად“.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებისათვის არ არსებობს უფრო მაღალი მოვალეობა, ვიდრე ლენინის ანდერძის შესრულება. ისინე უანგაროდ და ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ხალხს, საიმედოდ, ფხიზლად იცავენ სოციალიზმის მონაპოვრებს.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები აღფრთოვანებით ხვდებიან სკკპ XXV ყრილობას და აღუთქვამენ კომუნისტთა ლენინურ პარტიას, რომ მუდამ იქნებიან სოციალისტური სამშობლოს დამცველთა მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულნი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი

ა. გრეჩკო.

სასიცოცხლო სტრიქონები

ფვილი არმიაში მსახურობს

სიამაყის გრძნობით გვეკვესება გული, როცა „კომუნისტის“ ყოველდღიურ მრავალრიცხოვან ფოსტაში ვპოულობთ ასეთი წერილებიც, რომლებშიც ჩვენი თანამემამულეთა საქებარი სიტყვებია, მშობელთა და ახლობელთა მისამართით მადლობის გამომსახველი აზრებია გამოთქმული.

ასეთ წერილებს, რა თქმა უნდა, რედაქცია უაღრესი სიფაქიზით და სიყვარულით ეკიდება, რადგან ეს ბარათები ისეთი ადამიანების სანაქებო საქმიანობაზე მეტყველებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებითა და სწავლით ასახელებენ ხალხს, ახლობლებს, იმათ, ვისთანაც აღიზარდნენ, დავაუქაცდნენ და შემდეგ სამშობლოს დამცველთა სამსახურში ჩადგნენ.

რედაქციაში მოსულ რამდენიმე წერილს სურათიც ახლავს. აი ერთერთ მათგანზე თბილისელი ᲗᲘᲜᲘᲜᲘ ᲜᲘᲜᲝᲫᲘᲫᲘ გამოსახული. მის შმობლებს — თამარ და გიორგი ნოზაძეებს სამხედრო ნაწილის მეთაურები, სადაც ის მსახურობს, სწერენ: „სიამოვნებით გატყობინებთ, რომ თქვენი შვილი, ეფრეიტორი თენგიზ ნოზაძე ღირსეული ადამიანი და ჯარისკაცია. იგი უდიდესი პასუხისმგებლობითა და პატრიოტული გრძნობით ეკიდება სამხედრო სამსახურს — საბჭოთა ჯარისკაცის საპატიო მოვალეობას“.

სამხედრო ნაწილიდან თბილისელი ეთერ და ალექსი ხვთისავრიშვილების ოჯახმაც მიიღო მადლობის წერილი. მშობლებმა კი თავიანთი სიხარული რედაქციას გაუზიარეს. უაღრესად გულთბილი და მგრძნობიარე მადლობის სიტყვებით მიმართავენ მეთაურები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯარისკაც რუმაზ ხვთისავრიშვილის მშობლებს. როგორც წერილშია აღნიშნული, რევაზი სამაგალითო ჯარისკაცი, სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი და ჩვენი დიადი სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი.

„...სამხედრო ნაწილის მეთაურობა მადლობას გითვლით კარგი შვილის, სამშობლოს პატრიოტი ჯარისკაცის აღზრდისათვის“... — სწერენ თბილისელ თამარ ხოსროშვილს იმ სამხედრო ნაწილიდან, სადაც მისი ვაჟი მეგლეფ ᲮᲘᲡᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ მსახურობს.

ამას წინათ წითელწყაროელმა დავით და მამაკო ბაღაშვილებმა იზეიმეს შვილის — ჯარისკაც ᲐᲛᲘᲜᲐᲓᲘᲡ ᲑᲐᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სამაგალითო სამსახურისათვის მიღებული ცნობის გამო. გახარებულ მშობლებს სპეციალურად მათს სახელზე გამოუზავიეთ წერილში სამხედრო ნაწილიდან აუწყებდნენ, რომ ავთანდილი თავდადებულად ემსახურება სამშობლოს, სანიმუშოა დისციპლინით, სამხედრო და პოლიტიკური მომზადებით, სამაგალითო და მისაბაძია თანამებრძოლებისათვის.

ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილია წერილი სათაურით „ასე იქცევიან ნებისყოფა“. მასში ჯარისკაც ᲨᲘᲠᲛᲐᲖ ᲑᲔᲚᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ამბავია მოთხრობილი. იგი დახასიათებულია როგორც სამაგალითო მებრძოლი, სამშობლოს ერთგული დამცველი და გულადი ჯარისკაცი.

ეს ახალგაზრდა კაცი მეშახტეთა ქალაქის ტყიბულის მკვიდრია. სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ზეიკლად მუშაობდა. საწარმოში მისი სურათი სატატო დაფაზეც იყო გამოკრული. თვიმეურნეობა სამხედრო სამსახურშიც სიბეჯითითა და სიმაცით გამოიჩინა თავი. სწორედ ამიტომ იყო, რომ მისმა მშობლებმა, ცაცა და ვლადიმერ ბელდუქიძეებმა სამხედრო ნაწილიდან მადლობის ბარათი მიიღეს.

სამხედრო ნაწილიდან მადლობის წერილი, რომელიც თბილისელ ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲐᲚᲐᲒᲘᲫᲘᲡ ეხება, უშუალოდ ჩვენს რედაქციაშია გამოგზავნილი, მასაც დიდი გულწრფელი სიტყვებით მოიხსენიებენ მეთაურები და თანამებრძოლები.

ასეთი გულთბილი სიხარულისა და სიამაყის გრძნობების მომგვრელი წერილები სისტემატურად მოდის რედაქციაში. ამ უკანასკნელ ხანს მოსულ წერილებში ქებით არიან მოხსენიებული Ო. ᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (მცხეთა, ზაჰესი), ბ. ᲑᲝᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ (გარდაბანი) მ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲫᲔ (აბაშა), ზ. ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (საჩხერე) ა. ᲧᲐᲚᲘᲩᲐᲕᲐ, Ვ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ, Ლ. ᲧᲐᲚᲐᲓᲘᲜᲝᲕᲐ (ჩხოროწყუ), მ. ᲚᲐᲨᲮᲘᲐ, მ. ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ, Ა. ᲐᲛᲝᲜᲐᲫᲔ (ზუგდიდი) და სხვები.

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲗᲚᲔᲜᲘ

გამარჯვების მშენებლები

სამხედრო მშენებლებზე ცოტას ლაპარაკობენ, მათზე ცოტას წერენ. მათი ძნელი შრომა ომში ისე მკაფიოდ გამოსატული და შემჩნეული არ არის, როგორც ჯარისკაცის მამაცობა, მტრის საცეცხლე წერტს მკერდით რომ ფარავდა, ან მფრინავის მამაცობა, მტრის თვითმფრინავს რომ „ტარნავდა“, ან მეტკვიამფრქვევის მამაცობა, მტრის შაუდება და მნიშვნელოვან ტაქტიკურ მაღლობზე გამაგრებული პუნქტის შენარჩუნება რომ შეძლო, მაგრამ თვითმფრინავი, რომლითაც მფრინავმა გმირობა ჩაიდინა, საიდანღაც აფრინდა, ვიღაც ამენებდა მისთვის ასაფრენ-დასაჯდომ ბილიკს, ვიღაც აშენებდა საცეცხლე წერტს მეტყვიამფრქვევისათვის, რომელმაც შეძლო მნიშვნელოვანი ტაქტიკური მაღლობის შენარჩუნება. ვიღაც ნაღმავდა ველს, მტრისათვის გზა რომ გადაეღობა. აშენებდა ხიდებს და პონტონებს მდინარეზე, რომელიც უნდა გადაელახათ. დგამდა ბოძკინტებს. თხრიდა სანგრებს. აღმართავდა სხვადასხვა თავდაცვითს ნაგებობებს და ამას აკეთებდა დღისით და ღამით, გაგანია სიცხეში და სუსხში, უამინდობაში, მტრის ბომბებისა და მასირებული ცეცხლის ქვეშ. საცოცხლეს რომ არაფრად აგდებდა, ყველაზე წინ მიდიოდა და აუვნებლებდა მტრის მიერ დანაღმულ თვალუწვდენელ სივრცეებს. თვითონაც ებრძოდა ხელჩართულ ბრძოლაში. ასეთი იყო ომში სამხედრო მშენებელთა— ამ მამაც და თავმდაბალ ჯარისკაცთა უდიდესი არმია, რომლის თავგანწირული მამაცობა რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი გამარჯვება.

...სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს მშენებლობის დარგში, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ლენინური პრემიის ლაურეატს, ინჟინერ გენერალ-პოლკოვნიკ არჩილ მიქიტრის-ძე გელოვანს თითქოს არც კი ესმის ასეთი საათის რეკვა, დაღლილით დროს რომ შეგახსენებს. იგი ყვება დინჯად, აუჩქარებლად და მისი საუბარი წარსულზე, უკვე განცდილ-გადატანილზე, ეს არის თავისებური ანგარიში თანამემამულეებისადმი იმის შესახებ, რაც ცხოვრების მანძილზე უკეთებია და რაც ჯერ კიდევ წინ უდგეს.

— დავიბადე 1915 წელს, სვანეთში, სოფელ პატავერში. ბავშვობა ბაქოში გავატარე, სადაც მამაჩემი მუშაობდა. იგი ინჟინერ-ტექნოლოგი იყო. 1921 წელს მამა ტროპიკული დავწყობის გზაზე ვცხოვრობდი და ვცხოვრობ იმ აზრით, რომ არ შემელახა ჩემი პატარა სამშობლოს, ჩემი საყვარელი საქართველოს ღირსება, მე რომ გამწარდა და ბუძუ მაწოვა.

...ბევრი ძნელებდობა გადახდენია გენერალს ცხოვრებაში, ოღუსდა განსაკუთრებული პრინციპულობის, განსაკუთრებული მამაცობის გამოჩენა. როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიან დღეებში, ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისას.

ომში მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა. ჰიტლერელთა ჯარებმა ოდესის გარშემო წრე შეკრეს. ნიკოლაევისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა. სამხედრო-საველე მშენებლობის უფროსმა გელოვანმა მიიღო ბრძანება ყირიმში გადანაცვლების შესახებ, რათა იქ სათავეში ჩასდგომოდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას. არტილერიის ცეცხლქვეშ სამხედრო მშენებლებს დღედაღამ უხდებოდათ ახალი თავდაცვითი ნაგებობების აღმართვა და ძველის გამაგრება პერეკოპის ყელთან, ჩონგარის ნახევარკუნძულზე არაბატის ისარაზე.

მტერი სევასტოპოლისაკენ მოიწევდა...

ძალები უთანასწორო იყო. საბჭოთა ჯარებს აკლდათ იარაღი, ტყვიაწამალი. განსაკუთრებით ჭირდა ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები. მშენებლები აქტიური მოქმედების შესაძლებლობას მოკლებული ხომალდებიდან ხსნიდნენ საზენიტო და საზღვაო ჯავშანსაწინააღმდეგო ქვემეხებს. მათ ხის სპეციალურ მოწყობილობაზე აყენებდნენ და სახმელეთო ჯარის იარაღად აქცევდნენ. ტანკებს პირდაპირი დამიზნებით ურტყამდნენ. სულ რაღაც ხუთ დღედაღამეში ველოვანის მშენებლებმა ასეთი ქვემეხები დადგეს მთელი სივაშის სანაპიროს გასწვრივ, პერეკოპზე, ჩონგარის ნახევარკუნძულზე. თავდაუზოგავად ცდილობდნენ გადაეკეტა გზა მტრისათვის. ვინ იცის რამდენი მამაცი, შეუპოვარი და უნარიანი მებრძოლი-მშენებელი გამოეცალა ხელიდან ველოვანს ყირიმის თავდაცვითს მიჯნებზე!

აქ გენკორკის მახლობლად, გენერალ-ლეიტენანტ კილომეტრის დამორებით, ველოვანსა და მის მშენებლებს, რომლებიც საარტილერიო ბატარეას აყენებდნენ, კვლავ მოუდათ ჰიტლერელებთან ბრძოლაში ჩაბმა. გაფრთხილებული შეტაკება სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა. მშენებლებმა და არტილერისტებმა შეძლეს მაშინ მტრის ქვეითი ჯარებისა და ტანკ-ამფიბიების იერიშის მოგერიება და მათთვის გენერალ-ლეიტენანტ კილომეტრის მოჭრა.

— პერეკოპთან ტვინის შერყევის შედეგად კონტუზია მივიღე. ჭურვი ჩემი მანქანის გვერდით აფეთქდა, ჰოსპიტალში წაყვანაზე უარი ვთქვი. ვიფიქრე, ვიწვები და ყველაფერი გამივლის-მეთქი. კოლმეურნეობის კლუბში დამაწვინეს. ის იყო თვალი მივლულე, რომ კარი გაიღო და აჩქარებით შემოვიდა ველოანური ალნაგობის კაცი, რომელსაც ქამარზე ხელყუმბარები ეკიდა და ქამარში ბერმანული კოლტი ჰქონდა გაჩრილი. მოულოდნელად მეჩვენა მისი წვრილი ულვაში. მაგრამ ყველაზე მეტად გამაოცა მისმა სვანურმა ქუდმა. თითქოს შორეული სამშობლოს მთის ლაღმა სიომ დაბერაო იმ პატარა ქალთათა თქმის ქუდიდან და როცა შემოსულმა მომმართა, მე ქართულად ვუპასუხე. ორივემ გულით გავიხარეთ. გავიგე, რომ იგი ბატალიონს მეთაურობდა, და ის იყო კუჩერუანის ნახევარკუნძულიდან მოდიოდა, სადაც მისმა ბატალიონმა ცხარე ბრძოლაში ჩაიფარა ჰიტლერელთა შემოტევის შეჩერება. „რკინის კაცია, — მითხრა მის შესახებ პოლიტბელმა. არც შიში იცის და არც დაღლილობა. როცა ჩვენ ყველას დაღლილობისაგან მუხლი გვეკეცება, იგი მუდამ ფეხზეა. გერმანელებმა კარგად იციან, ვინც არის იგი. მის შეპყრობაზე დიდი ჯილდოა გამოცხადებული — ამის თაობაზე ფურცლებიც კი გადმოყარეს“.

მერე ვეღარც შევხვდი ბატალიონის მამაც მეთაურს: მაგრამ ყირიმში რომ ვიყავი, მუდამ მესმოდა მისი სახელი. მისი ბატალიონი მუდამ ყველაზე სახიფათო, ყველაზე ძნელ უბნებზე იმყოფებოდა.

სწორედ ის იფარავდა ჩვენი ჯარების ქერჩიდან უკანდახევას. რა ხმირად მესმოდა მაშინ მისი გვარი, მაგრამ სამწუხაროდ, დღეისათვის აღარ დამახსოვდა. მინდა მჯეროდეს, რომ მამაცმა მეთაურმა გამარჯვება იზეიმა, რომ იგი ახლაც ცოცხალია, რომ იგი წაიკითხავს ამ სტრიქონებს, შემეხმიანება და კვლავაც შევხვდებით ერთმანეთს.

მტერი განუწყვეტლივ გვიტევდა, ბრძოლა არ ცხრებოდა. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მტრის არტილერია „ტურეცკი ვალს“ ურტყამდა. გვეჭირდა. ძალიან გვეჭირდა. ვიცოდით, რომ ქერჩს ვერ შევინარჩუნებდით და სრუტით უკანდახევა მოგვიხდებოდა. ძნელია მდინარეს გადალახვა, ხოლო სრუტისა ისჯერ მეტად. ამავე დროს საამისო ტექნიკური საშუალებებიც არ გვქონდა. და უცებ გავიგონეთ მოსკოვის ხმა. სტალინის ხმა. მისი სიტყვა ოქტომბრის დღესასწაულის

სამხედრო პარადზე. მან სანგრებში მოგვისწრო და თუმცა ჩვენი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, მაინც ვიწამეთ, რომ შეგვწევდა ძალა შეგვეკავებინა მტრის არმადის შემოტევა, რომ არ შევდგებოდით, ქედს არ მოვიხრიდით და გავიმარჯვებდით.

...მოწინააღმდეგემ მაშინ შეძლო ჩვენი თავდაცვის გარღვევა პერეკოპთან და ველზე გასვლა. სევასტოპოლს საფრთხე დაემუქრა. გელოვანმა და მისმა მშენებლებმა ქერჩის სრუტე გადალახეს და ნოვოროსიისკში გადავიდნენ. მათ წინაშე დასახული იყო ამოცანა — ტუაფსეს ნავსადგური მოემზადებინათ როგორც შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა და სასწრაფოდ აეგოთ სანაპიროზე აეროდრომები, ესოდენ აუცილებელი ლესელიძის არმიისათვის, რომელიც კონტრშეტევისათვის ემზადებოდა.

— საჭირო იყო მშენებლობის გაშლა. თანაც რაც შეიძლება სწრაფად. დოკი მექანიზმებით ქერჩის სრუტეზე გადასვლის დროს დაგვბომბეს. მე და ჩემმა ხალხმა, ზოგმა ფიცრით, ზოგმა ცურვით გადავლახეთ სრუტე: კავკასიის სანაპიროზე სანატორიუმების დაკონსერვებული მშენებლობებიდან მექანიზმები შეკრიბეთ და მუშაობას შეუდექით. როგორც კი დავამთავრეთ აეროდრომების მშენებლობა, მათზე სამი საავიაციო დივიზია დაჯდა — ერთი მოიერიშე და ორი გამანადგურებელი. ისინი ამ აეროდრომებიდან მოქმედებდნენ. ჰიტლერელები სადგურ ინდიუკთან შევაჩერეთ, ამის აქეთ მათ ნაბიჯიც ვეღარ გადმოდგეს. იმ დღეებში გავიცანი შესანიშნავი ადამიანი — მამაცი მფრინავი, საავიაციო დივიზიის გამოცდილი მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გენერალი ვ. ვ. ნანეიშვილი.

ა. ვ. გელოვანი, როგორც სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამუშაოთა სამმართველოს უფროსი, ხელმძღვანელობდა გამაგრებული რაიონების მშენებლობას.

სევასტოპოლი... ულამაზესი ქალაქი — ნავსადგური, უძველესი ციხე-სიმაგრე, რუსეთის სახელმწიფოს სიამაყე, როგორ მიყვარდა მის ქუჩებში, განიერ სანაპიროზე გასეირნება. ახლა ქალაქი აღარ იყო... ნანგრევები... აგურის ნამტვრევები... მინის ნამსხვრევები, დამწვარი, ხის ბოძები... და სასწაულად გადარჩენილი ორად ორი შენობა — ორი შენობა უკანდახეული მტრის მიერ ბარბაროსულად დანგრეული, გადაბუგული მთელი ქალაქიდან.

თერთმეტი წელიწადი ხელმძღვანელობდა გენერალი გელოვანი ახალი სევასტოპოლის მშენებლობას. და აი ახლა ამაკად დგას, თეორი ქვით ნაგები თვალწარმტაცი გმირი ქალაქი, განიერი ქუჩებითა და ნათელი, კეთილმოწყობილი სახლებით — დგას ჩვენი ხალხის, ჩვენი მეგობრების სასიხარულოდ.

...სევასტოპოლელები არასოდეს არ დავიწყყებენ იმას, თუ რაოდენ დიდი შრომა და სიყვარული ჩაეკსოვა გენერალმა გელოვანმა მათი მშვენიერი ქალაქის აღდგენას. თავიანთო დიდი მადლიერებისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად არჩილ გელოვანი სევასტოპოლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

— ჩვენ ვამშენებთ, ვამშენებთ ყოველ ცისმარე დღეს მსხვილ ობიექტებს და საცხოვრებელ ბინებს მეომრებისათვის. ჯარების უზრუნველყოფა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებით სამხედრო მშენებელთა წმიდათა წმიდა მოვალეობაა, ვინაიდან არმიის საბრძოლო მზადყოფნა დამოკიდებულია მეომართა ცხოვრების კეთილმოწყობაზე.

...ასევე გატაცებით უყვართ თავიანთი საქმე არჩილ გელოვანის მეუღლეს ექიმ ქეთევან ვლადიმერის ასულს, შვილს ვიტტორს, რომელიც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია, და რძალს ექიმ ნანა ანჯაფარიძეს. არჩილ გელოვანი იმედოვნებს, რომ პატარა შვილიშვილი, რომელიც მისი სეხნიაა, პაპის კვალს გაჰყვება და სამხედრო მშენებელი გახდება.

ჩვენც გულით ვუსურვებთ მას პაპის გზის განგრძობას.

— მუშაობით ისე ვარ გადატვირთული, რომ ვერ ვახერხებ საქართველოში ხშირად ჩამოსვლას. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით მხურვალე, გულითადი სალამი გადავიგზავნო ჩემს თანამემამულეებს, გუსურვო მათ ბედნიერება და დიდი წარმატება. ჩვენ, ქართველებს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო საქართველოს გარეთ რომ ვცხოვრობთ, ყოველთვის გვახსოვრებს მისი მიღწევები და გულს გვატკენს თუნდაც უმნიშვნელო წარუმატებლობა. ჩვენ, მეგობრებო, არ უნდა გვქონდეს წარუმატებლობა, ვინაიდან ჩვენს ხალხს ტრადიციად მოსდგამს შრომისმოყვარეობა, სიწმინდე, ვაჟკაცობა, პირდაპირობა და სინდისიერება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბრძოლა სინდისის სიწმინდისათვის, რომელიც ახლა ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებს, წარმატებით დაგვირგვინდება. ამას გულით გისურვებთ, მეგობრებო!

მაია ნემიროვა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს XV პლენუმი

ბაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს XV პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ი. მოსაშვილის მოხსენება: „რესპუბლიკის პროფკავშირთა ამოცანები საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV

მსოფლიოს ამბები

ხუნტის თვითნებობის წინააღმდეგ

ᲨᲔᲜᲔᲕᲐ. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ აქ მიმდინარე 37-ე სესიაზე დაგმო ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულობანი. მნიშვნელოვანი ხმის უმრავლესობით მიღებულ რეზოლუციაში კომისიამ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ჩილეში პოლიტიკური პატიმრების წამება და ვითარება, როცა მათ სასტიკად, მხეცურად და დამამცირებლად ექცევიან.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ჩილეში პატივი უნდა სცენ ასოციაციათა თავისუფლების უფლებას, მათ შორის პროფკავშირების შექმნის უფლებას.

სესიამ გადაწყვიტა მანდატის ვადა გაუგრძელოს ახლახდელ სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, რომელიც ჩილეში ადამიანის უფლებათა დარღვევას იძიებს, და სთხოვა ჯგუფს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიის წარუდგინოს შესაბამისი მოხსენება.

კომისიამ დაადგინა, რომ კვლავ განიხილოს თავის მორიგ სესიაზე ჩილეში ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხი, როგორც დღის წესრიგის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი.

ᲙᲜᲐᲒᲝᲚᲐ

ახლოვდება სრული განთავისუფლება

ᲚᲣᲐᲜᲓᲐ, (საკდესი). ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები მოსახლეობის აქტიური დახმარებით ქვეყნის ჩრდილოეთში სპობენ ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მეამბოხეთა და დაქირავებულთა ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგობის უკანასკნელ კერებს.

როგორც ნათქვამია მთავარი შტაბის კომუნიკეში, ეროვნული არმიის ნაწილებმა შეიარაღებული მარიდიორებისა და მძარცველების ბანდებისაგან გათავისუფლეს ქალაქი ნოკი და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები, რომლებიც მდებარეობს უშუალოდ ზაირის საზღვართან, სადაც თავშესაფარს პოულობენ ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და დაქირავებულთა დამარცხებული რაზმები.

გრძელდება შეტევა სამხრეთის მიმართულებით, სადაც ანგოლის სრული გათავისუფლების ეროვნული კავშირის ბანდებმა აგრეთვე პრაქტიკულად შეწყვიტეს ორგანიზებული საომარი ძოქმედება, ხოლო სამხრეთ აფრიკის ჯარებმა დაიხიეს გამაგრებულ პოზიციებზე ხამბიის საზღვრის გასწვრივ შექმნილ ეგრეთწოდებულ „საბუფერო ზოხაში“.

ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და ანგოლის სრული გახთავისუფლების ეროვნული კავშირის მეამბოხეები, სამხრეთაფრიკელი ინტერვენტები და სხვადასხვა ჯერის დაქირავებულნი უკან დახევის დროს ხვრეტენ ყველაფერ ამ ადგილებს ბინადრობენ. ეს ითასობით მშვიდობიან მცხოვრებს მხოლოდ იმისათვის, რომ არ სურთ მათს მხარეზე ბრძოლა და მხარს უჭერენ ანგოლის გახთავისუფლების სახალხო მოძრაობას. გათავისუფლებული ქალაქების — უამბოს, ბიეს, კაპორლოს და სხვების მახლობლად იპოვეს მშვიდობიან ანგოლელთა მასობრივი ეკზეკუციისა და დამარხვის ადგილები.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ

ᲣᲕᲔᲚᲣ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ.** უმაღლესი გათლების მქონე უმუშევართა რიცხვი ბელგიაში განუწყვეტლივ იზრდება. გაზეთ „ლიბრ ბელჟიკის“ მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში ითვლება 5200-ზე მეტი ამ კატეგორიის უმუშევარი.

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** გუშინ პოლიციის ბანდერმერიამ რაზმებმა ქალაქ ტრენტონში (ნიუ-ჯერსის შტატი) გარეკეს სტუდენტთა დემონსტრაცია.

4 ათასამდე სტუდენტი მივიდა ნიუ-ჯერსის გუბერნატორის რეზიდენციასთან, რათა პროტესტი განეცხადებინათ სწავლის ქირის გადიდების წინააღმდეგ. დემონსტრანტებს პოლიციელებმა ძალები მიუსიეს.

● **ᲢᲝᲙᲘᲝ.** ექვსი მუშა დაიღუპა იაპონიის ქალაქ უცუნომიის რაიონში მლტეგის უბნის ხიდის მშენებლობაზე მომხდარი ავარიის შედეგად.

უბედური შემთხვევები წარმოებაში იშვიათი როდია იაპონიაში. ეს იმით აიხსნება, რომ მეწარმეები ცდილობენ „დაზოგონ“ ტექნიკური უსაფრთხოებისათვის საჭირო ხახარები, რასაც შედეგად მოსდევს ავარიები და მსხვრევები.

● **ᲚᲣᲡᲐᲙᲐ.** ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნას ეურნალისტიკის ეროვნული ცენტრი. ამ უმაღლესი სახსავლებლის კურსდამთავრებულნი იმუშავებენ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში.

● **ᲑᲝᲜᲝ.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ცნო ანგოლის სახალხო რესპუბლიკა. ეს ნათქვამია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. შეელის დეპეშაში ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ ა. ნეტოსადმი.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხომალდები ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურის ხულ უფრო ხშირი სტუმრები არიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: „კამაზ“-ისათვის განკუთვნილი მიწყობილობის დატვირთვა ხომალდ „პოლესკზე“ ელიზაბეტის (ნიუ-ჯერსის შტატი) ნავსადგურში. ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲬᲠ

ვ. ბრანდტის გამოსვლა

ᲑᲝᲜᲜ, (საკდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ბრანდტმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ უნდა განაგრძოს „მშვიდობის აქტიური უზრუნველყოფის თანამიმდევრული პოლიტიკა“.

ბრანდტმა, რომელიც აქ გამოვიდა თავისი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გაერთიანებულ სხდომაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გასული წლის ოქტომბერში ხელმოწერილ პოლოხეთ-დასავლეთ გერმანიის შეთანხმებათა მომავალ რატიფიკაციასთან დაკავშირებით გამართული დისკუსია მოწმობს, რომ „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ოპოზიციური ბლოკის გავლენიან წრეებს ჯერ კიდევ არ ესმით, რომ საჭიროა რეალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული საგარეო პოლიტიკის განხორციელება“.

საჭიროა ახალი დიდი ღონისძიებანი იმ საგარეოპოლიტიკური კურსის განგრძობისათვის, განაცხადა ვ. ბრანდტმა, რომელიც, კერძოდ, გამოიხატა ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან გერმახეთის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციით.

მხოლოდ ერთი...

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა ქართველი მხატვრების „ერთი ნამუშევრის“ გამოფენა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ქართველი მხატვრების უფროსი თაობის წარმომადგენელთა და ახალგაზრდა ფერმწერთა ტილოები — უ. ჯაფარიძის, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, რ. ჯავრიშვილის, ე. მაყაშვილის, ნ. იანქოშვილის, რ. სტურუას, რ. თორდიას, გ. თოიძის, ა. ვარაზის, მ. ახობაძის, შ. მეტრეველის, ტ. ნალბანდიანის, ა. იუდინის, კ. ჭანკვეტაძის, ჯ. მირზაშვილის, გ. კეშელავას, ჯ. ხუციშვილის და სხვა ნამუშევრები.

გამოფენა საინტერესო და მრავალმხრივია, დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან ჩვენი ცნობილი ფუნჯის ოსტატების ტილოებთან. ეს გამოფენა ერთხელ კიდევ ცხადყოფს ჩვენი მხატვრების მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პოზიციების ჯანსაღ პათოსს, ნათელ განწყობილებას, ახალგაზრდა ფერმწერთა ტენდენციას, რომელიც გმირთა სულიერი სამყაროს, ფსიქოლოგიურ გახსნას, ძიებასა და სიახლისაკენ სწრაფვას გულისხმობს.

ექსპოზიცია მრავალმა თბილისელმა და დედაქალაქის სტუმარმა დათვალიერა.

Ნ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: გამოფენის ექსპონატები — ა. იუდინის „კ. ლესელიძე კავკასიის მთებში“, ე. ახვლედიანის „უასანაური“, ზ. გოგოლაშვილის „სიყვარული“.

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐ

მოგზაურობა სიმღერით...

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოხვედრა ცოტა არ იყოს ძნელი იყო. ეს ფაქტი მით უფრო სასიხარულოა, რომ კონცერტებს მართავდნენ ჩვენი თანამოქალაქეები — ეთნოლურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ივერია“.

რა თქმა უნდა, საესტრადო ანსამბლის ღირსება სალაროში გაყიდული ბილეთებით არ განისაზღვრება, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ამ კოლექტივმა შეძლო ჯერ თავის რესპუბლიკაში, ხოლო შემდეგ მის ფარგლებს გარეთაც პოპულარობის მოხვეჭა. მას იცნობენ, როგორც იტყვიან, შინ და გარეთ. ქართველმა ძსახიობებმა შობილური მუსიკისა და სიმღერის ძალი გაიცნეს ევროპის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ათეულ ქვეყნებს. სულ ახლანან კი ისინი დაბრუნდნენ პოოტეგალიიდან. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურად რთული, დაძაბული სიტუაციისა, ანსამბლმა დიდ წარმატებას მიაღწია და მაყურებლისა და პრესის მოწონება დაიმსახურა.

ახლა კი გავყვეთ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოსულ მაყურებელს და მოვუსმინოთ „ივერიის“ ახალ პროგრამას.

დარბაზში შუქი ნელ-ნელა იკლებს... ყველა ქართული ხალხური სიმღერა. მომღერლები არ ჩანან. დარბაზი სმენად იქცა და აი დარბაზი უკვე განათდა. „ივერიელები“ იწყებენ „მოგზაურობას საქართველოში“ — ერთმანეთისაგან ფერადი ტანსაცმელი ეცვამთ. ეს ფერადი ტანსაცმელი ეროვნული ფერებია. ეს ფერადი ტანსაცმელი ეროვნული ფერებია. ეს ფერადი ტანსაცმელი ეროვნული ფერებია